ხაშურის მოამბე

№26 (207) 8 ივლისი, ორშაბათი, 2019 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2 ივლისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებასა და განკარგულებაში.

სხდომაზე თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის მერს სოფელ ბეკამში და სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში, გზების მოასფალტეის სამუშაოების გარიგების დადების თაობაზე. ასევე, თანხმობა მიეცა მერს, რომ მოხდეს შპს „ალკა-2008"-ისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონკრეტული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა.

სხდომის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის განათლებისა და კულტურის განყოფილების მიერ, 2019 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში (იხილეთ მეორე გვერდზე), რომელიც შეფასდა დადებითად.

შიდა ქართლში 2020 წლისთვის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროგრამები განიხილეს

სამხარეო ადმინისტრაციაში, ინფრასტრუქტურული მიმართულებით დაგეგმილ ღონისძებებთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი გაუძღვა, რომელსაც შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, რწმუნებულის მოადგილე სიმონ გულედანი, მაჟორიტარი დეპუტატები, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ისეთი მიმართულებებზე, როგორიცაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლების რეაბილიტაცია, ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სტიქიის პრევენცია და სოფლების მხარდაჭერა.

მხარეების მხრიდან აღინიშნა, რომ მსგავსი მიდგომით, მუნიციპალიტეტები დროულად მოახდენენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვასა და დაკონტრაქტებას, ამავდროულად, პროცედურების დროული შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საპროექტო და სამშენებლო კომპანიების მზადყოფნასა და ეფექტურობის ხარისხის ზრდას.

ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ღობეების მოწყობა მიმდინარეობს

ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ, ღობეების მოწყობა მიმდინარეობს.

„აღნიშნული სამუშაოები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქის იერსახის მოწესრიგებას. ქუჩაზე გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლებისა და არსებული ფართების სისტემური დანომვრაც." -აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა განხორციელებული სამუშაოების ადგილზე შემოწმებისას.

მერთან ერთად, ობიექტზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, პროექტი, რომელიც თანადაფინანსებით ხორციელდება, 873 757.79 ლარს ითვლის და შემოდგომით დასრულდება.

განიხილეს ახალი პროექტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრის" წარმომადგენლებს შორის პროექტის განხილვა გაიმართა.

პროექტის – „ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები ქალების მონაწილეობა კარგი მმართველობისთვის"– მიზანია ხელი შეუწყოს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები მოსახლეობის აქტიურ ჩართულობასა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის უკეთ განხორციელებას.

პროექტს მხარს უჭერს ავსტრიის განვითარების სააგენტო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის განათლების და კულტურის განყოფილების მიერ 2019 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის განათლების და კულტურის განყოფილება თავის მუშაობას წარმართავს მერიის დებულებისა და 2018 წლის 14 დეკემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ №114 განკარგულებით, დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე.

2019 წლის პირველ ნახევარში, ხაშურის მუნიციპალიტეტში აღინიშნა სხვადასხვა სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაული, ჩატარდა მრავალი ღონისძიება. კულტურის პროგრამების 2019 წლის ასიგნებები განსაზღვრულია 132 873 ლარით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საანგარიშო პერიოდში, კულტურულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 62 610 ლარი.

ახალ წლის დღეებში, მერიის ინიციატივით, გაიმართა საქველმოქმედო აქცია, რომლის მიზანიც იყო გაჭირვებული ოჯახების დახმარება. საჩუქრები გადაეცათ სოფელ წაღვლის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებს და ალტერნატიული ბაღის აღასზრდელებს, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს.

შობა-ახალ წელთან დაკავშირებით, ჩატარდა საახალწლო კონცერტი ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით.

7 იანვარს, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საშობაო ალილოს მსვლელობაში.

14 იანვარს აღინიშნა სახელმწიფო დროშის დღე.

20 თებერვალს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გაიმართა ახალგაზრდა მხატვრების ოთო ქურდაძისა და ელენე ტურაშვილის ნახატების გამოფენა.

5 თებერვალს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, ჩატარდა მომღერალ ლაშა ღლონტის საღამო.

25 თებერვალს, სურამში, აღინიშნა ლესია-უკრაინკას დაბადების დღე, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, უკრაინის ელჩმა, საელჩოს და დიასპორის წარმომადგენლებმა.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, მელოგინე დედებს გადაეცათ სასაჩუქრე პაკეტები, ხოლო საავადმყოფოს პერსონალს ყვავილების თაიგულები.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოების პერსონალ ქალბატონებს გადაეცათ ყვავილების თაიგულები, ტორტი და ტკბილეული.

21 მარტს, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, დღის მოვლის ცენტრის და „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტის მერიამ თეატრალიზებულ წარმოდგენაზე უმასპინძლა.

ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღსანიშნავად, 9 აპრილს, მერიის თანამშრომლებმა გვირგვინით შეამკეს ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი.

წარმატებული ხაშურელების და მათი საქმიანობის პოპულარიზაციის ფარგლებში, დაიბეჭდა მაყვალა ხაჩიძის წიგნი „ საუკუნის გასაყარზე“ და კლიმენტი სუთიაშვილის წიგნი „ქვიშხეთი, ჩემი ქვიშხეთი“.

ფაშიზმზეგამარჯვების დღესთან დაკავშირებით მერიის თანამშრომლებმა გვირგვინით შეამკეს ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალი. გაიმართა კონცერტი 9 მაისს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს გადაეცათ სასურსათო პაკეტები.

11 მარტს, ხაშურის სამუსიკო დარბაზში, გაიმართა თბილისის კამერული ორკესტრის მცირე შემადგენლობის კონცერტი.

11 მარტს, ხაშურის სასპორტო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, გაიმართა კულტურული ღონისძიებები. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შედგა შეხვედრა ვეტერან ფეხბურთელთან და ხელოვანთან მანუჩარ მაჩაიძესთან, მოეწყო მისი ნახატების გამოფენა.

შალვა მშვილდაძის სახელობის ქართული ტრადიციული გალობისა და ხალხური სიმღერის სარეგენტო-სალოტბარო სკოლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო გადაცემა „ჩაკრულოში“, მოხდა გუნდის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

განყოფილება ჩართული იყო ბიბლიოთეკის და მუზეუმის საერთაშორისო დღის აღნიშვნაში.

ტრანსპორტირებით უზრუნველყოფილ იქნენ ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ფესტივლებზე („იპოვე შენი ვარსკვლავი“, „მომავლის ვარსკვლავი“) და გორში „საქართველოს საგუნდო საზოგადოების“ მიერ ორგანიზებულ საგუნდო ვოკალისტების მე-5 ეროვნულ კონკურსში.

მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს თურქეთში, ქ. ალანიაში გამართულ კონკურს-ფესტივალში „ჰარმონია“, აღნიშნულ კონკურში მონაწილეებმა მოიპოვეს გრან-პრი და საპრიზო ადგილები.

3-5 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო ექსპო-ჯორჯიაში გამართული ტურიზმის 21-ე საერთაშორისო გამოფენაზე და 10-12 მაისს ბათუმში გამართულ მე-12 ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის და 2-ე საერთაშორისო სამედიცინო ტურიზმის გამოფენაში.

12 მაისს, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, გაიმართა ანსამბლ ”სათანაოს“ კონცერტი.

18 მაისს აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე.

23 მაისს, თბილისში, მ. ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში, გაიმართა რევაზ კოშკაძის ნახატების გამოფენა.

გრანდიოზულად აღინიშნა, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ამ დღესთან დაკავშირებით , გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება, საზეიმო კონცერტი შოუ–ბიზნესის ცნობილი სახეებისა და მონაწილეობით (ლუკა ზაქარიაძე, სოფო საჟინიანი, თორნიკე ყიფშიძე). ადგილობრივი მოსახლეობისა და შემოქმედებით ანსამბლების, მონაწილეობით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაიმართა, საზეიმო მსვლელობა ეროვნული სამოსითა და დროშებით.

განხორციელდა პროექტები „დაგვანახე შენი სოფელი“ და „გაგვაცანი ევროპა და განავითარე შენი რეგიონი/ქალაქი“. პროექტში „დაგვანახე შენი სოფელი“ გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, ხოლო პროექტში „გაგვაცანი ევროპა და განავითარე შენი რეგიონი/ქალაქი“ გამარჯვებულები გაემგზავრენ კაბადოკიაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის მკვიდრ, წარმატებულ მუსიკოსს, საოპერო მომღერალს ლევან ტაბატაძეს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა იტალიაში, ჯუზეპე ვერდის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიამ პატარებს თეატრალიზებულ წარმოდგენაზე უმასპინძლა და სასიამოვნო სიურპრიზითაც დაასაჩუქრა, როგორც ხაშურში, ასევე დაბა სურამში.

საანგარიშო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღეს დაძმობილებული ქალაქების ფესტივალებში (ლიტვა, ლატვია ბელარუსია), რაც ხელს უწყობს ურთიერთობების გაღრმავებას ქალაქებს შორის და უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

გორში, სამეცნიერო პროექტში და გარიყულაში, ევროპის დღეების დახვაზე მონაწილეობისათვის მოხდა ხაშურის მოსწავლეების ტრანსპორტირება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა უზრუნველყოფილ იქნა ტრანსპორტით სოფელ მეჯვრისხევში ანსამბლ “სახის“ კონცერტში დასწრებასთან დაკავშირებით.

24 ივნისს, საზღვრისპირა სოფელ წაღვლის ალტერნატიული ბაღის აღსაზრდელებისათვის, ხაშურის თოჯინების თეატრში, გაიმართა წარმოდგენა.

განყოფილება ჩართული იყო, 25 ივნისს, ხაშურის ბიბლიოთეკაში გაიმართულ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტში „ცოცხალი წიგნები“.

განათლების სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება“. გაერთიანება ამ ეტაპზე მოიცავს 16 სტრუქტურულ ერთეულს. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას და სკოლისათვის მომზადებას, დაწესებელებების– საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობას. პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილია 2 000 000 ლარი. რაც გათვლილია 2 042 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მის მიერ მოწოდებული მონაცემები ბავშვთა რაოდენობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, საბავშვო ბაღები მომარაგდა ხარისხიანი კვების პროდუქტებით (კვებაზე დადებული ხელშეკრულებების ჯამი 233824.50 ლარი, გაიხარჯა 199294.95 ლარი); პირადი ჰიგიენის საშუალებებით (17115.90 ლარი); საკანცელარიო ნივთებით (8000 ლარი); ბაღებისათვის შეძენილ იქნა ავეჯი (59315 ლარი); საოჯახო ტექნიკა (12280 ლარი); მედიკამენტები (1039.10 ლარი); სადეზინფექციო ხსნარები (4620 ლარი); ვერტიკალური ფარდა-ჟალუზები (7072.92 ლარი); ქსოვილის ნივთები (საბანი, ლეიბი, ბალიში და სხვა 9434.10 ლარი); ნახატები (3200 ლარი); ყველა საბავშვო ბაღისთვის შეძენილ იქნა ჭურჭელი (30215.30 ლარი); სათამაშოები (14910.48 ლარი); 13 საბავშვო ბაღისთვის შეძენილ იქნა მუსიკალური ცენტრები (2600 ლარი);

კომუნალურ გადასახადებზე დახარჯულია 157483.27 ლარი (სინათლე 16548.73, ბუნებრივი აირი 122498.59 და წყალი 15850.80); ხელფასის სახით გაიცა 457995ლარი.

წყლის ანალიზი ჩატარებულია ყველა საბავშვო ბაღში და არის დადებითი პასუხი (ოსიაურის გარდა, სადაც ცხელი წყლის დროს შესაძლებელია ჭურჭელი გაირეცხოს, ოღონდ დასალევად არ შეიძლება).

ბუნებრივი აირის გარე ქსელზე მიერთდა ალის და სატივის საბავშვო ბაღები (3200 ლარი); სინათლის გარე ქსელზე მიერთდა სატივის საბავშვო ბაღი (400 ლარი); ბუნებრივი აირის შიდა ქსელის მონტაჟი განხორციელდა ალის, ტეზრის და სატივის საბავშვო ბაღებში (ტეზერში დასრულებულია სამუშაოები, ალში და სატივეში მალე დასრულდება ჯამში 2234.32 ლარი);

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ,ჩატარდა ოსიაურს საბავშვო ბაღის სახურავის სარემონტო სამუშაოები, რომელიც დაზიანდა ძლიერი ქარისგან (3506.84 ლარი).

სექტემბერში იგეგმება 3 საბავშვო ბაღის გახსნა (შუშის ქარხნის დასახლება, სატივე და ტეზერი).

სამომავლოდ კვლავ აქტიურად გააგრძელება მუშაობა საბავშვო ბაღების შემდგომი განვითარებისათვის და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, რომელიც შესაბამისობაში იქნება და დააკმაყოფილებს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს. ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა (471 მოსწავლე) თანადაფინანსებას, სასწავლო და არასასწავლო პერიოდში. პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილია 228 200 ლარი.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის მიერ მუსიკალური განათლების მიღებას და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც, მთლიანობაში, მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად, უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

ფოლკლორის, თანამედროვე და კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის მიზნით, სამუსიკო სკოლის წარმატებული მოსწავლეები, ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები ფინანსდებიან სხვადასხვა ღონის რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში, ფესტივალ-კონკურსებზე მონაწილეობისათვის.

ივნისში, ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, გაიმართა კლასიკური მუსიკის III ფესტივალი “რეგიონის ხელოვანები”. ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდნენ ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის, ქარელის, აგარის და ბორჯომის სამუსიკო სკოლების მოსწავლეები.

გ. კერესელიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,
კულტურის და სპორტის სამსახურის განათლების და
კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი

ჩვენი მუნიციპალიტეტის ველური ბუნების ბიონედლეული - ევროპულ ბაზარზე

შპს „იბერია ფრუტსის“ კიდევ ერთი, ყველაზე ახალი საწარმო მეორე წელია ხაშურში საკმაოდ დიდი წარმატებით ფუნქციონირებს. ეწევა ქართული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოპოვებას, გადამუშავებას და მიწოდებას საერთაშორისო ბაზარზე. მათი ძირითადი საექსპორტო პროდუქტი სხვადასხვა სახეობის ველური ხილი და მცენარეა, რომლებიც მრავლად მოიპოვება კავკასიონის ფერდობზე და ამ მხრივ, ჩვენი მუნიციპალიტეტიც გამოირჩევა უნიკალური ბიომრავალფეროვნებით. შპს „იბერია ფრუტსი“ საქართველოში შვიდ საწარმოს ითვლის, მისი ძირითადი დამკვეთი „მარტინ ბაუერ გრუპია“, რომელსაც ველური ხილისა და მცენარეების მოპოვების შიდა სტანდარტები გააჩნია.

რედაქცია ესტუმრა ხაშურის საწარმოს, სადაც ცაცხვის ყვავილისა და ფოთლის შრობის პროცესი მიმდინარეობდა. გავესაუბრეთ ხაშურის საწარმოს მენეჯერს ვლადიმერ გოგალაძეს, რომელიც მათი საქმიანობის შესახებ გვესაუბრა:

—ხაშურში მეორე წელია შემოვედით. ვიღებთ ბიო პროდუქტებს მთაში, ვამუშავებთ, ვახარისხებთ და ვგზავნით გერმანიაში, სადაც გადის საბოლოო დამუშავებას და მიდის წარმოებაში.. კრეფის დაწყებამდე, გავდივართ სხვადასხვა ტიპის შემოწმებას და კონტროლს კავკასიის ცენტრიდან. ხაშურში ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებლები ვართ-ამ

ეტაპზე 480 ადამიანი მუშაობს ხელშეკრულების საფუძველზე. ეს გახლავთ შპს “იბერია ფრუტსის” საწარმო, რომელმაც დამატებით შვიდი სხვადასხვა საწარმო გახსნა ახალციხის, ხაშურის, ამბროლაურის, კახეთის, ჟინვალის ტერიტორიაზე. ყველაზე ახალი დაარსებული ჩვენი კომპანიაა, თუმცა დღევანდელი მონაცემებით, ოთხ კომპანიას გადავუსწარით შესრულებული გეგმის მიხედვით.

- რამდენი სახეობის ნედლეულს მოიპოვებთ და რამდენად იცავთ სტანდარტებს ამ დროს?

—სულ გვაქვს 180 სახის ნედლეული, მათ შორის ვაშლის, ჟოლოს, მაყვლის, მსხლის, ქლიავის როგორც ნაყოფი, ასევე მათი ფოთლების სახით, ასევე, ჭინჭრის, მოცხარის, ცაცხვის ფოთლები, აკაციის, ასკილის ყვავილები. სანამ გავალთ მონიშნულ ტერიტორიაზე, სადაც ვიწყებთ ნედლეულის აღებას, იქამდე ვსწავლობთ, თუ რამდენად ბიოლოგიურად სუფთაა და შემდეგ ვიწყებთ შეგროვებას ყველა იმ სტანდარტის დაცვით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ველური სახეობებისა და პოპულაციების თანაბარზომიერი გამოყენება.

- ჩვენი მუნიციპალიტეტი რამდენადაა მდიდარი ამ მხრივ?

—თითქმის ყველა ნედლეულია, რაც გვჭირდება, არ გვიწევს მუნიციპალიტეტის გარეთ გასვლა, რასაც ისიც მოწმობს, რომ მოცემულ ლიმიტს, შეგროვებული პროდუქტი რაოდენობრივად რამდენჯერმე აღემატება. არ ვართ შეზღუდულები რაოდენობაში, ყველა კომპანიის პროდუქცია მთლიანობაში აბალანსებს ერთმანეთს. გახსნის მომენტიდან, ჩავარდნა თითქმის არ გვქონია. ამას, ჩვენს მიერ ხელფასის სახით გაცემული თანხის რაოდენობაც მოწმობს, გასულ წელს ერთი მილიონი, წელს 2,5 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელფასო ფონდი და ამ ეტაპზე, 800 000-მდე უკვე გავეცით.

- როგორც ვიცი, ბრიგადები გაქვთ შექმნილი, სადაც გადამზადებული, კვალიფიციური მუშა-ხელი გყავთ. მოსახლეობის დაინტერესება არ გაგიჭირდათ?

—თავდაპირველად ორი ადამიანით დავიწყეთ, მათმა მონდომებამ მოიყვანა მთელი გუნდი ამ შედეგამდე და როგორც გითხარით, დღეს ჩვენი ბრიგადა 480 ადამიანს ითვლის, გასამრჯელოს აქტიურობის და მონდომების მიხედვით იღებენ, თუმცა ბრიგადის უფროსებს, ყოველთვიური ხელფასიც აქვთ. ჩვენი კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლებზე და მათი წახალისების მიზნით, ხშირად ეძლევათ სხვადასხვა ტიპის საჩუქრები თუ სახელფასო დანამატები. ჩვენთან მოსული სამსახურის მაძიებელი ადამიანი, გადის სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს, ეძლევა ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი, უნიფორმები, წამლებზე ფასდაკლების ბარათები.

- შემგროვებლობითი საქმიანობა რა პერიოდს მოიცავს?

—ვიწყებთ მარტის თვიდან დეკემბრის ბოლომდე. პირველად ქაცვის მიღება დავიწყეთ, ამ ეტაპზე ცაცხვის ყვავილზე და ფოთოლზე ვმუშაობთ. ახლაც ცაცხვის კრეფის ეტაპზე ვართ. ყველა პროდუქტს თავისი წონა და ღირებულება აქვს.

- ნედლეულის ფასი როგორ განისაზღვრება თქვენთან?

—ჩვენთან ნედლეულის ჩაბარების ფასი, საბაზრო ფასთანაა თანაფარდობაში-ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესს არ შევუქმნათ საფრთხე.

- რა ეტაპებს გადის პროდუქცია ამ საწარმოში?

—ჩვენთან ნედლეული პირველადი სახით მუშავდება, მეორე ეტაპს ამბროლაურში გადის და აქედან იგზავნება გერმანიაში, სადაც გადის საბოლოო დამუშავებას ფარმაკოლოგიაში გამოსაყენებლად.

- ამჟამად რა ეტაპზე ხართ?

—ინფრასტრუქტურა ბოლომდე არაა მოწესრიგებული, მუდმივად მიმდინარეობს განახლება, ახალი საშრობების, შენობების, ინვენტარის შემოტანა, აუცილებელია, რომ „აისოს“ სტანდარტებში ჯდებოდეს ყველაფერი. თუმცა, დღესაც ჰიგიენის ნორმებს ზედმიწევნით ვიცავთ და ხდება ამის მუდმივი მონიტორინგი როგორც სურსათის უვნებლობის სამსახურის, ასევე გერმანული მხარის მხრიდან, რომელიც არის ჩვენი ძირითადი დამკვეთი და შესაბამისად, დაინტერესებულია, რომ ყველაფერი სტანდარტების ფარგლებში ჯდებოდეს და ყველა პროცესი ნორმების დაცვით მიმდინარეობდეს.

თამუნა ჯავახიშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

სურამში სახლობენ გვარები: აბაზაძე, აბაშიძე, აბჟანდაძე, აბრამაშვილი, აბულაძე, ადანაია, ადამია, ადეიშვილი, ავალიშვილი, ალელიშვილი, ალექსანიანი, ალსანიშვილი, ამირგულაშვილი, არბოლიშვილი, არევაძე, არსანიძე, არსენიძე, არჯევანიძე, ასანიშვილი, აჩელიშვილი, ბაბუთიძე, ბაკურაძე, ბალახაძე, ბანცაძე, ბანცური, ბარამიანი, ბარანულიკო, ბარბაქაძე, ბასილაძე, ბაცაცია, ბებიაშვილი, ბეზიაშვილი, ბეკოშვილი, ბენდიაშვილი, ბეჟანიშვილი, ბერაძე, ბერიძე, ბეროზაშვილი, ბერუჩევი, ბერძენიშვილი, ბიბილური, ბითაძე, ბიძინაშვილი, ბიჭიკაშვილი, ბლიაძე, ბოჭორიშვილი, ბრეგვაძე, ბროლაძე, ბუხნიკაშვილი, გაბუნია, გაგნიძე, გაგოშიძე, გაგულაშვილი, გამცემლიძე, განჯელაშვილი, გარადინსკი, გარსევანიშვილი, გასიშვილი, გაფრინდაშვილი, გაჩეჩილაძე, გაწერელია, გეგეშიძე, გედენიძე, გელაშვილი, გელდიაშვილი, გერმანაშვილი, გვალია, გველესიანი, გვენცაძე, გიგაშვილი, გიგოშვილი, გიკაშვილი, გლურჯიძე, გოგატიშვილი, გოგიბერიძე, გოგინაშვილი, გოგნიაშვილი, გოგუაძე, გომარელი, გონგლაძე, გორგაძე, გორდელაძე, გრიგალაშვილი, გრძელიშვილი, გრიგოლაშვილი, გუბელაძე, გუმბერიძე, გუნცაძე, გურგენიძე, გურჯიშვილი, დავარაშვილი, დავითიანი, დავლაშერიძე, დავლაძე, დანელია, დარბაიძე, დევაძე, დევდარიანი, დელიბაშვილი, დვალიშვილი, დიდებულიძე, დიელიძე, დიხამიძე, დონდუა, ელბაქიძე, ელიკაშვილი, ელისაშვილი, ვანიშვილი, ვარდოსანიძე, ვაწაძე, ზამბახიძე, ზაქარიანი, ზედგენიძე, ზვიადაძე, ზუბაშვილი, ზუმბაძე, თავაძე, თავშავაძე, თათარაშვილი, თედეშვილი, თეთრაძე, თიგიშვილი, თითბერიძე, თოთლაძე, თურმანიძე, თხელიძე, იაკობაშვილი, იაკობიძე, ივანიშვილი, ივანიძე, ინასარიძე, ინდუაშვილი, იოსელიანი, კაბერაშვილი, კაკიაშვილი, კალაძე, კალჩენკო, კანთელაშვილი, კაპანაძე, კაჭკაჭიშვილი, კახნიაშვილი, კევლიშვილი, კეჩხოშვილი, კვაჭაძე, კვიმსაძე, კვინიკაძე, კვირიკაშვილი, კვიციანი, კიზირია, კიკაძე, კიკაჩეიშვილი, კიკნაძე, კიკოლაშვილი, კილაძე, კიპაროიძე, კირვალიძე, კობალაძე, კობახიძე, კოკოზაშვილი, კოპაძე, კოპინაშვილი, კოჟორიძე, კორკოტაძე, კოშკაძე, კრიხელი, კუზნეცოვი, კუთხაშვილი, კუკულაძე, კურტანიძე, კუჭაძე, კუჭაიძე, ლაბაძე, ლალუაშვილი, ლატიშვილი, ლაშხი, ლაცაბიძე, ლობჟანიძე, ლოლაძე, ლომიაშვილი, ლომინაშვილი, ლომიძე, ლომუაშვილი, ლურსმანაშვილი, ლუქუნიძე, მათიაშვილი, მაისაშვილი, მაისურაძე მალაციძე, მამინოვი, მამულოვი, მანჩხაშვილი, მანჯავიძე, მარსაგიშვილი, მასურაშვილი, მაღლაკელიძე, მაღრაძე, მაცხონაშვილი, მაჭავარიანი, მაჭარაშვილი, მახათაძე, მახაჭაშვილი, მგელაძე, მდივნიშვილი, მეზვრიშვილი, მელიქიძე, მესტუმრიშვილი, მეტივიშვილი, მეტრეველი, მექერიშვილი, მზექალაშილი (ზექალაშვილი), მინდიაშვილი, მირზაშვილი, მიროტაძე, მიქელაშვილი, მიქელაძე, მოსაშვილი, მოსიაშვილი, მოსიძე, მოწონელიძე, მჟავანაძე, მულაძე, მურადაშვილი, მურვანიშვილი, მურჯიკნელი, მშველიძე, მჭედლიძე, ნადირაძე, ნაზარაშვილი, ნამიჭეიშვილი, ნანიკაშვილი, ნანიტაშვილი, ნანიტაძე, ნებიერიძე, ნეკერიშვილი, ნეფარიძე, ნიკოლოზაშვილი, ნიორაძე, ნოზაძე, ნონიაშვილი, ობოლაძე, ობლიშვილი, ოვსიანიკოვი, ოთარაშვილი, ოთხოზორია, ომიაძე, ორაგველიძე, ორბელიძე, ორთოიძე, ორჯონიკიძე, ოსეფაშვილი, ოსკანოვი, ოსიტაშვილი, პაპისმედოვი, პაპიძე, პაპუაშვილი, პარკაძე, პატარკაციშვილი, პაქსაშვილი, პაჭკორია, ჟვანია, რიკაძე, რიჟამაძე, რიოტენბერგი, როსტომოვი, რუსია, საგანელიძე, სადაღაშვილი, სადღობელაშვილი, სალაღაია, სამსონია, სამხარაძე, საძაგლიშვილი, სახვაძე, სებისკვერაძე, სერეჟანი, სისვაძე, სტურუა, სულაბერიძე, სურმავა, სუხიაშვილი, სხირტლაძე, ტაბატაძე, ტალახაძე, ტეფნაძე, ტკაჩენკო, ტროყაშვილი, ტუსიაშვილი, უთქმელიძე, ულუმბელაშვილი, ურთქმელიძე, ურიადმყოფელი, ფანქველაშვილი, ფანჩულიძე, ფანჯიკიძე, ფატარიძე, ფეიქრიშვილი, ფეხშველაშვილი, ფიჩხაძე, ფხალაძე, ფხიკაძე, ქართველიშვილი, ქარსანაშვილი, ქაჯაია, ქერდიყოშვილი, ქვრივიშვილი, ქიმერიძე, ქიტიაშვილი, ქობალია, ქორთიაშვილი, ქოქაშვილი ქურდაძე, ღამბარაშვილი, ღამბაროვი, ღამბაშიძე, ღანთაძე, ღარიშვილი, ღვალაძე, ღვინიაშვილი, ღირსიაშვილი, ღონიკიშვილი, ღონღაძე, ყავლაშვილი, ყეინაშვილი, ყიფშიძე, შარიქაძე, შტაადე, შუბითიძე, ჩაგუნავა, ჩადუნელი, ჩალხაძე, ჩანდიშვილი, ჩაჩაშვილი, ჩახუნაშვილი, ჩინჩალაძე, ჩიტაძე, ჩიქოვანი, ჩიხლაძე, ჩუბინიძე, ჩხეიძე, ცელაძე, ცერცვაძე, ციმაკურიძე, ცინცაძე, ციცვიძე ციცქიშვილი, ცუცქირიძე, ცხადაძე, ძაგნიძე, წაქაძე, წეველიძე, წერეთელი, წიკლაური, წიქარიშვილი, წიწუაშვილი, წულუკიძე, ჭანკოტაძე, ჭელიძე, ჭითავა, ჭიპაშვილი, ჭოლაძე, ჭრელაშვილი, ჭუჭულაშვილი, ხაბეიშვილი, ხათრიძე, ხაინდრავა, ხანიკაშვილი, ხარაზიშვილი, ხარაიშვილი, ხარატიშვილი, ხარაძე, ხარშილაძე, ხატიაშვილი, ხაჩიძე, ხეთაგური, ხვედელიძე, ხიდირბეგიშვილი, ხორავა, ხოჭოლავა, ხრიკაძე, ხუციშვილი, ჯალაბაძე, ჯალიაშვილი, ჯანაშვილი, ჯაფარაშვილი, ჯიბუტი, ჯიმუხაძე, ჯინჯიხაშვილი, ჯიოშვილი, ჯიხვაშვილი, ჯობაძე, ჯოხაძე, ჯუღელი...

სურამში მდებარეობს სურამის ცნობილი ციხე (XI–XII ს. ს.), ღვთაების (1829წ.), წმ. გიორგის (XIXს.), ღვთისმშობლის, წმ. მარინესა (გვიანფეოდალური ხანა) და კვირაცხოვლის (1998წ.) ეკლესიები.

ტაშისკარი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთის ძირში, მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 720 მ. ხაშურიდან დაშორებულია 10 კილომეტრით, შედის ქვიშხეთის სასოფლო საკრებულოში.

ტაშისკარი რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. ვახუშტი ბატონიშვილი მისი მდებარეობის შესახებ აღნიშნავს: „ქვიშხეთის სამხრით არს, მთის ძირს, მტკურის ახლო, დაბა ტაშისკარი“.

ტაშისკრის სახელწოდების შესახებ ხალხში არაერთი ლეგენდაა გავრცელებული, რომლებშიც მოცემულია სახელწოდების ახსნის ცდა. ეს ლეგენდები დაკავშირებულია ქართველი ხალხის უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებთან. ყველა ლეგენდა ერთსა და იმავე ახსნას აძლევს ტოპონიმ ტაშისკარს: ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად ქართველებმა ვითომ ტაში შემოჰკრეს და აქედან დაერქვა სოფელს ტაშისკარი.

როგორც ირკვევა, სახელწოდება იმ ადგილიდან მომდინარეობს, რომელსაც თავისი ბუნებრივი მდგომარეობის გამო ტაშისკარი ერქვა და შემდეგ ეს სახელი გავრცელდა თვით დასახლებულ პუნქტზეც.

ასეთი ბუნებრივი ადგილი ვახუშტის მიხედვით შემდეგია: „ხოლო ტაშისკარის სამხრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილოსი ცხვირ-ცხვირად, და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წუერი, და მოავიწროებს მტკუარს კლდითა. აქ, მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ხეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს ქვისკარი)“.

ვახუშტი ზემოთ აღნიშნულში გულისხმობს, იმას რომ ადგილი, რომელსაც ტაშისკარი ეწოდება, საუკუნეების მანძილზე ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა. მარცხენა მხარეს მას იცავდა მაღალი კლდე, რომელზეც იდგა კოშკი, მარჯვნივ ჩამოუდიოდა მდინარე მტკვარი, შუაში იყო ვიწრო გასასვლელი გზა, რომელსაც კოშკი იცავდა (სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტის რუკაზე ტაშისკრის სამხრეთით დატანილი აქვს კოშკი, როგორც დასახლებული პუნქტი).

ვახუშტის მიხედვით, ტაშისკარი – „ესე არს ქვისკარი“. მართლაც, სახელწოდება ტაშისკარი ორი სიტყვისაგან შედგება: „ტაშის“-გან და „კარის“-გან. „ტაშ“ თურქული სიტყვაა და ქართულად ქვას ნიშნავს, „კარი“ ქართული სიტყვაა და მისი შინაარსი გასაგებია. ე.ი. ტაშისკარი „ქვისკარს“ ნიშნავს და ვახუშტიც, სწორედ, ამას აღნიშნავს: ტაშისკარი „ესე არის ქვისკარი“.

ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით აკად. ს. ჯიქია აღნიშნავს, რომ მართალია „ტაშ“ თურქულად „ქვაა“, მაგრამ ხომ არ შეიძლება მასალის (რისგანაც კარია გაკეთებული) სახელი თურქული იყოს, ხოლო მისგან გაკეთებული საგნის სახელი კი ქართული“.

აქ იგივე შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, როცა პროფ. ზ. ჭუმბურიძე ცდილობს, სურამის სახელწოდების წარმომავლობა თურქული ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით ახსნას. სანამ თურქული ენობრივი მომენტები აისახებოდა ქართულ სინამდვილეში და ტოპონიმიკაზე გავლენას მოახდენდა, ტაშისკარი უკვე დიდი ხნის წინ არსებობდა, ისევე როგორც სურამი. ამიტომ ტოპონიმ ტაშისკარის ახსნა ისევ ქართული ენობრივი მონაცემებით უნდა აიხსნას და მისი ძირები ქართულ სინამდვილეში უნდა ვეძებოთ.

ტაშისკრის სახელწოდების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. მოსე ჯანაშვილს. მისი განმარტებით, ტაშირი ტრიალ მინდორს, გაშლილ ველს ნიშნავს (ქვემო ქართლში გვაქვს ტაშირის ცნობილი ველი). მართლაც, როდესაც ხეობიდან შემოვდივართ შიდა ქართლში, ტაშისკრიდან ჩვენ წინ იშლება გაშლილი, ვრცელი ველი, ე.ი. ტაშისკარი გაშლილი, ვრცელი ველის კარს ნიშნავს.

ვფიქრობთ, პროფ. მ. ჯანაშვილის მოსაზრება უფრო ახლოსაა სინამდვილესთან.

იმავეს აღნიშნავს პროფ. ზ. ჭუმბურიძეც: „სახელწოდება ტაშისკარი, ჩანს, მიღებულია ტაშირის კარ-ისაგან. ტაშირი მთებს შორის მოქცეულ ვაკე ადგილს, მთებით მოზღუდულ ველს ეწოდება. ეს სიტყვა ცალკეც გვხვდება ჩვენს ტოპონიმიკაში: ტაშირი ერქვა ქართლის ერთ ნაწილს – ქვემო ქართლს. როგორც გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი განმარტავს, „ეწოდება ამ ადგილს ტაშირი სივაკისათვის“.

ასეთივე ვრცელი ვაკე ანუ ტაშირი იწყება იქ, სადაც მტკვარი გამოდის ბორჯომის ხეობიდან და სადაც მდებარეობს ტაშისკარი.

სახელწოდება ტაშისკარი წარმოების მხრივ კომპოზიტია, მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებით მიღებული.

გ. ბედოშვილი აღნიშნავს, რომ ქართული ხალხური ტრადიციული გადმოცემის მიხედვით, ტოპონიმი ტაშისკარი ნიშნავს: „ხელისგულივით სწორი, ვაკე ადგილი“. საგულისხმო, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ისტორიულ ტაშ - ირ ფორმაშიც სწორედ ამ მნიშვნელობას დებდა: „ტაშირი - სივაკისათვის“. სამაგიეროდ ვახუშტი არის ის მკვლევარი, რომლემაც მოგვცა ტაშისკარის პირველი მეცნიერულად სარწმუნო ეტიმოლოგია: „აქ მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი... ქართლიდამ ხეობასა შინა სავალი, ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს ქვისკარი)“. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი, საგანგებოდ არაფერს ამბობს ტაშ- სიტყვის წარმომავლობაზე, მაგრამ აშკარაა, რომ სწორედ თურქულ ტაშ- („ქავა, კლდე“) სიტყვა დასდებია საფუძლად ტაშისკარი-ს წარმოშობას. ტაშისკარი, როგორც ირკვევა, ჰიბრიდული წარმოების სახელი ყოფილა; ნათესაობით ბრუნვაში დასმულ თურქულ ტაშ სიტყვას ქართული საზღვრული კარ-ი ტაშისაკრ- ფორმისაგან მიღებული სახელად მიიჩნევს ზ. ჭუმბურიძე.

გ. ბედოშვილს მოჰყავს კ. ჰანის მიერ შემოთავაზებული თვალსაზრისი ტაშისკარის წარმოშობის თაობაზე და მას ანეკდოტურს უწოდებს. კ. ჰანი ფიქრობდა, რომ ტოპონიმის პირველი ფუძე (ტაშ-) ქართულ ტაშტ- სიტყვას უკავშირდებოდა. მისი რწმენით, ადგილობრივი მცხოვრებნი მტრის (თურქების) შემოსევის დროს სპილენძის ტაშტებს ურტყამდნენ და თავისიანებს მოსალოდნელ საფრთხეს ასეთი წესით ატყობინებდნენო. საფიქრებელია, - აღნიშნავს გ. ბედოშვილი, - რომ კ. ჰანის ეს მოსაზრება რომელიმე ხალხური გადმოცემისაგან მომდინარეობდეს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ტაშისკარი XI საუკუნიდან მოიხსენიება და ცნობილია, როგორც სასაზღვრო გეოგრაფიული პუნქტი შიდა და ზემო ქართლს შორის. ასეთი მნიშვნელობით აქვთ იგი მოხსენიებული ლეონტი მროველს, ჯუანშერს და სხვებს.

გარკვეული ხნით, კერძოდ, ახალციხის მხარეში ოსმალეთის ბატონობის პერიოდში (XVI–XVIII სს.) ტაშისკარი იყო ოსმალეთ-საქართველოს (ქართლს) შორის სასაზღვრო პუნქტი.

ტაშისკარი სააბაშიოში შედიოდა. გარდა აბაშიძეებისა, აქ მამულები ეკუთვნოდათ ავალიშვილებს, სარმანიშვილებს. ამ უკანასკნელის მამულები XVIII საუკუნის 30–იანი წლების ბოლოს შეიძინეს ქვიშხეთელმა აბაშიძეებმა.

ტაშისკარი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა საბაჟოსაც. რომელიც განთავსებული იყო ტაშისკრის კოშკში. შემორჩენილია ტაშისკრის ბაჟის ნუსხა, რომელიც 1753 წლით თარიღდება.

1609 წელს, აქ, გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით, ქართველთა მცირე ლაშქარმა დაამარცხა ყირიმელი თათრების მრავალათასიანი ლაშქარი. ქართველები „...ეკუეთნენ ფიცხლად და იქმნა ბრძოლა ძლიერი... მისცათ ღმერთმა ძლევა და მოსწყვიდნეს ურიცხუნი და ივლტოდნენ თათარხანნი, რამეთუ მოსაკიდელთა დედანიცა მესამე დღემდე გამოიყვანდნენ ტყიდამ თათარხანთა, განაშიშულიან და განუტევიან“.

რუისის სამწყსოს 1715 წლის აღწერის დავთარში ტაშისკრიდან დაფიქსირებულია 25 კომლი (ბეჟიელი, ჩიკვაიძე (3), ფასიტაშვილი (2), ფანტიძე (2), ხუმარაძე, სხირტლაძე (2), დევაძე, ბითაძე (2), მექვაბიძე, ლუკაშვილი, საგინაშვილი (3), მარგველაშვილი (2), სუთიაშვილი (2), მეზვრიშვილი...)

1785 წელს, სურამში მდგომ ერეკლესა და რუსებზე ლეკ-ოსმალთა ჯარი მოულოდნელად იერიშის მიტანას აპირებდა, მაგრამ მზვერავებმა ერეკლეს შეატყობინეს და თვითონ მიიტანა იერიში მათზე ტაშისკართან. მტერი სასტიკად დამარცხდა. ერეკლემ ტყვე ოსმალები წაიყვანა, ხოლო ლეკები იქვე დაახვრეტინა. ამ ბრძოლას საკმაოდ დიდი გამოძახილი ჰქონდა იმდროინდელ ოსმალურ სამყაროში.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგაც ტაშისკარს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, იგი კვლავ რჩებოდა სასაზღვრო პუნქტად ოსმალეთის იმპერიასთან. რადგან ახალციხის მხრიდან კვლავ გრძელდებოდა ლეკთა თავდასხმები, რუსეთის ხელისუფლება იძულებული იყო, გაემაგრებინა ტაშისკარი. აქ შექმნეს ე.წ. „ბორჯომის ბლოკჰაუზი“, სადაც იდგა ქართული მილიცია და რუსის ჯარის ნაწილები, რომლებიც ქართლს ლეკთა თავდასხმებისაგან იცავდნენ.

ასე გრძელდებოდა ახალციხის მხარის საქართველოსთან შემოერთებამდე (1829 წ). ამის შემდეგ ტაშისკარი, როგორც სასაზღვრო–გეოგრაფიული პუნქტი, კარგავს თავის მნიშვნელობას.

აქ, XIX საუკუნის 90-იან წლებში, გაიყვანეს ხაშური-ბორჯომის რკინიგზა, მდ. მტკვარზე ააგეს ხიდი, ხეობისაკენ მიმავალი გზა გააფართოვეს. ამ სამუშაოებს, შეეწირა ის „ქვისკარი“, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. ჩვენს დრომდე შემორჩენილი იყო კოშკის ნანგრევები. როდესაც აქ საავტომობილო გზაც გაიყვანეს, XX ს-ის 40-იან წლებში, გზის გაფართოებამ მოითხოვა კლდის აფეთქება, რამაც გამოიწვია კოშკის განადგურებაც.

ტაშისკარში, 1886 წლის აღწერის მიხედვით, 21 კომლი მოსახლეა (95 კაცი და 82 ქალი), სულ 177 კაცი), რომლებიც, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია. ისინი გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ, იმერეთიდან.

აქ სახლობენ გვარები: ასკურავა, ბიჭიკაშვილი, გელაშვილი, გერმანაშვილი, გოგალაძე, გოგიბერიძე, გომარელი, გიორგაძე, გრიგალაშვილი, გულაძე, გურული, იმერლიშვილი, იმნაიშვილი, კაკიაშვილი, კაპანაძე, კიკნაძე, კუბლაშვილი, ლომსაძე, მანჩხაშვილი, მაღლაკელიძე, მაჭარაშვილი, მჭედლიშვილი, ნოზაძე, ოსაძე, პაპიაშვილი, სამსონაძე, სილაძე, ტაბატაძე, ტყემალაძე, ღონღაძე, ყრუაშვილი, შუბითიძე, ჩარაშვილი, ჩიქოვანი, ძნელაძე, წიქარიშვილი, ხაჩიძე, ხრიკაძე, ჯაფარაშვილი, ჯვარიძე...

ტაშისკარში შემორჩენილია ე.წ. ჩიკორის (XVIII–XIX სს.) და ტასურის წმინდა გიორგის (1897 წ) ეკლესიები. ეს უკანასკნელი აგებულია ძველ ნანგრევებზე.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

ამ ეტაპზე ხდება იატაკების მოწყობა, პროექტით გათვალისწინებულია ავარიული კარებების შეცვლა და საკლასო ოთახების რეაბილიტაცია.

საჯარო სკოლაში მიმდინარე სამუშაოებს ეცნობოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

აღნიშნული პროექტი 67 502 ლარს ითვლის და აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება.

სოფელ გომის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მოსწავლეებისა და მასწავლებლების სასწავლო პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

წრომის საჯარო სკოლა, ახალი სასწავლო წლიდან, მოსწავლეებს სრულიად რეაბილიტირებული შეხვდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროცესებს ადგილზე ეცნობოდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, ამ ეტაპზე ხდება იატაკების მოწყობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ბედლითის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაც.

სამუშაოების მიმდინარეობა აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება. პროექტის მთლიანი ღირებულება კი 86 945 ლარია.

ხაშურელმა მოსწავლემ კონკურსში „ნამდვილი თუ გამოგონილი“ პირველი ადგილი მოიპოვა

მედიაწიგნიერების კონკურსის „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ ნამუშევრების პრეზენტაცია და გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა.

კონკურსის პირობების თანახმად, მოსწავლეებს ქართულ მედიასივრცეში (ინტერნეტი, ტელევიზია, ბეჭდური მედია და სხვა) გავრცელებული ყალბი ინფორმაცია - „fake neus“ უნდა აღმოეჩინათ, რომელიც ეხებოდა საქართველოში მომხდარ ამბავს და აქამდე არ ყოფილა დადასტურებული, როგორც ყალბი ინფორმაცია. მოსწავლეებს ამას გარდა, უნდა წარმოედგინათ ყალბი ინფორმაციის აღმოჩენის გზა, შესაბამისი წყარო და პარალელურად, დაედგინათ რეალური ფაქტები, ამბავი.

დაჯილდოების ღონისძიებაზე მოსწავლეებმა თავად გააკეთეს საკუთარი ნაშრომების პრეზენტაცია და კომუნიკაციების კომისიისგან შთამბეჭდავი, თემატური და მოზარდებისთვის საჭირო პრიზები მიიღეს.

კონკურსში „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ პირველ ადგილზე გავიდა ლაშა ქურდაძე, ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, რომელმაც პრიზის სახით MacBook Pro მიიღო.

- სოფლის მეურნეობა -

ახალი პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ ახალ პროექტს იწყებს.

ახალი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავებას, ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და გარემოსთან თავსებადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის განვითარებას.

გრანტების გაცემის საპილოტე მუნიციპალიტეტებად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ონისა და ცაგერის, ხოლო შიდა ქართლის რეგიონში - ხაშურისა და გორის მუნიციპალიტეტები შეირჩა. გრანტები მიმართული იქნება ფერმერების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და აგროწარმოებით გამოწვეული კლიმატის ცვლილების შემცირებისკენ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგიებით.

ხაშურის ახალგაზრდული დასის წარმატება

25-30 ივნისს, ქობულეთში, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „მზიანი საქართველო" გაიმართა, რომელშიც ხაშურის ახალგაზრდული თეატრალური დასიც მონაწილეობდა. დასმა, რომელსაც გიორგი ცხვედაძე ხელმძღვანელობს, ფესტივალზე სპექტაკლი „ვითამაშოთ? კი თუ არა?" წარადგინა, რომლის რეჟისურაც ბატონ გიორგის ეკუთვნის. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა წილად და იგი საუკეთესო ინსცენირებისა და საუკეთესო გადაწყვეტისათვის დაჯილდოვდა. თუმცა, დასის წარმატება ამით არ ამოწურულა-სპექტაკლში მონაწილე მსახიობებმა, როგორც გოგონებმა, ასევე ვაჟებმა საუკეთესო შესრულებისათვის, პრიზები მიიღეს, რაც, უდავოდ, ხაზს უსვამს, მათ მაღალ სამსახიობო ოსტატობას.

დასი კვლავაც აქტიურად მუშაობს და ახალი სეზონიდან განახლებული რეპერტუარით წარსდგება ხაშურელი, და არა მარტო, მაყურებლის წინაშე.

წარმატება სამუსიკო სკოლის VIII რეგიონულ კონკურსზე

ამ დღეებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, გაიმართა საქართველოში არსებული სამუსიკო სკოლების VIII რეგიონული კონკურსი. კონკურსში მონაწილეობას, ათეულობით სამუსიკო სკოლა და ორასამდე მათი აღსაზრდელი იღებდა. გამოვლინდა 18 საუკეთესო, საიდანაც სამი ჩვენი სამუსიკო სკოლის მოსწავლეა - სოფიო ნოზაძე, ანა ქურდაძე და ანა გოლუბიანი. პატარა მევიოლინეებს (პედაგოგი ფატი სადაღაშვილი, კონცერტმეისტერი თამაზ აბრამიძე) დიპლომები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ კონკურსზე, ასევე შთამბეჭდავად გამოვიდნენ დემეტრე გელაშვილი (II ადგილი) და ნინი ლალუაშვილი (IIIადგილი). ჩვენმა პატარა მუსიკოსებმა გალა-კონცერტებშიც მიიღეს მონაწილეობა და ოვაციებიც დაიმსახურეს.

ფეხბურთი

,,მოყვარულთა თასი - 2019 "

მესამე წელია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, ფეხბურთში, სამოყვარულო ლიგა დაარსდა. პირველი ორი წელი ლიგა რეგიონული იყო, თუმცა, წელს, გაფართოვდა უკვე და რესპუბლიკური გახდა. მასში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 300-მე გუნდი მონაწილეობს, რაც თავისთავად მეტყველებს მის მასშტაბზე. სხვათაშორის, მოყვარულთა ლიგები მთელს მსოფლიოშია პოპულარული. ევროპისა თუ სხვა ფეხბურთის ფედერაციებიც აქტიურად უჭერენ მხარს და ჩემპიონატებიც იმართება.

წელს, სამოყვარულო ლიგაში ხაშურის გუნდიც ჩაება. ჩვენი გუნდი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის ჯგუფშია და დანარჩენ 9 გუნდთან ერთად იბრძოლებს ჩემპიონობისათვის. ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე 2-2 გუნდი გადის. ხაშურელებმა პირველი თამაში უკვე გამართეს და საკუთარ სტადიონზე ახალგორის გუნდი 4:1 დაამარცხეს.

წარმატებები ჩვენს გუნდს. იმედია ამ ჩემპიონატში ეს ბიჭები ღირსეულ სიტყვას იტყვიან.

— კალათბურთი —

ხაშურის გუნდი სამოყვარულო-საზაფხულო ჩემპიონატის გამარჯვებულია

სამკაცა კალათბურთი, ბოლო წლებში, სპორტის ძალზე პოპულარულ სახეობად იქცა. სპორტის ამ სეხეობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიც იმართება და გულშემატკივართა დიდ არმიასაც იზიდავს. გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც, ამ დღეებში, დასრულდა სამოყვარულო საზაფხულო ჩემპიონატი, რომელშიც ხაშურის გუნდიც მონაწილეობდა. ამ გუნდზე, რომლის წევრები არიან გიორგი გელაშვილი (გუნდის კაპიტანი), თემურ მურჯიკნელი, ირაკლი ბაღდავაძე და ბექა შათირიშვილი, ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინაც ვწერდით, როდეს მათ „ბორჯომის თასზე" გამოიჩინეს თავი. ახლა კი სულაც საოცარ

წარმატებას მიაღწიეს და მოყვარულთა შორის, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

სულ პირველობაში 32 გუნდი ჩაება. ისინი 8 ქვეჯგუფში გაერთიანდნენ, საიდანაც ორ-ორი გუნდი პლეი-ოფის პრინციპით აგრძელებდა ბრძოლას. ჩვენმა ბიჭებმა ჯგუფში სამივე თამაში მოიგეს. მერვედფინალში „შინდისი" დაამარცხეს – 11:9, მეოთხედფინალში თბილისის „სპარტას" სძლიეს – 15:11. ნახევარფინალში ასევე თბილისის გუნდი „ელკანი" გაისტუმრეს სახლში – 14:10. ფინალში კი, დაძაბულ ბრძოლაში, ქუთაისის გუნდი დაამარცხეს – 16:13 და ჩემპიონის თასიც აღმართეს. თასთან ერთად ჩვენმა კალათბურთელებმა სპონსორისგან (დეელოპერული კომპანია „დირსი" და „აჭარაბეთი) ფულდი ჯილდოც მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ჩვენი გუნდის წევრი თემურ მურჯიკნელი დასახელდა.

ვულოცავთ ამ გუნდს ჩემპიონობას. ეს უკვე მართლაც დიდი წარმატებაა და გვჯერა, ეს ბიჭები მომავალშიც ბევრჯერ გაგვახარებენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.